ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05 10 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №321-ს
ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2018 - 2019 აკადემიური წლის ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N11/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2018 - 2019 აკადემიური წლის ადმინისტრირება უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა დ სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი

მასწავლებელთა მომზადების პროგრამა

აკადემიური კალენდარი

შემოდგომის I სემესტრი

2018 წლის 8 ოქტომბერი - 2019 წლის 16 თებერვალი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **8 ოქტომბერი - 26 იანვარი**

ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **31 იანვარი - 16 თებერვალი**

საშობაო არდადეგები - **31 დეკემბერი - 7 იანვარი**

უქმე დღეები

სვეტიცხოვლობა - **14 ოქტომბერი - (კვირა)**

გიორგობა - **23 ნოემბერი (პარასკევი)**

ნათლისღება - **19 იანვარი (შაბათი)**

გაზაფხულის II სემესტრი

2019 წლის 25 თებერვალი - 6 ივლისი

სააუდიტორიო მეცადინეობა - **25 თებერვალი - 15 ივნისი**

ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება - **24 ივნისი - 6 ივლისი**

სააღდგომო არდადეგები - **22 -29 აპრილი**

უქმე დღეები

დედის დღე - **3 მარტი (კვირა)**

ქალთა საერთაშორისო დღე - **8 მარტი (პარასკევი)**

ეროვნული ერთიანობის დღე - **9 აპრილი (სამშაბათი)**

ფაშიზმზე გამარჯვების დღე - **9 მაისი (ხუთშაბათი)**

- წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე - **12 მაისი (კვირა)**

დამოუკიდებლობის დღე - **26 მაისი (კვირა)**